



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 553
10/08/2018

553-09-4-201808101018



ბრძანება

შპს „ჯი ეს პი გრუპ“-ისათვის ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლების (ხუთი კომპლექსი - 21 ერთეული კოტეჯი) მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.

2018 წლის 11 ივნისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჯი ეს პი გრუპ“-ის მინდობილი პირის მამუკა ალხაზიშვილის (პ.ნ. 61001071150) №6101/09 განცხადება ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლების (ხუთი კომპლექსი - 21 ერთეული კოტეჯი) მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი: 23.14.36.455; 23.14.36.244; 23.14.36.245; 23.14.36.246; 23.14.36.302) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-X-ე თავით მოთხოვნილ პირობებთან.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც განლაგებულია ერთმანეთის მიმდებარედ და კურორტ „გოდერძი“-ს განაშენიანების რეგულირების გეგმით მოხვედრილია ერთიან სივრცეში, დაგეგმარებულია იდენტური ტიპის და პარამეტრების მქონე საცხოვრებელი სახლები (კოტეჯები).

ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის თანახმად II კლასის შენობა-ნაგებობისა და III კლასის მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 მ²-მდე და მიწის ზედაპირიდან 14 მეტრამდე სიმაღლის სათავსის სამშენებლო დოკუმენტის სხვა ტერიტორიაზე გამოყენების შემთხვევაში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების ტერიტორიებისა) მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ I სტადიით. ამასთან ამავე დადგენილების 38-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად იმ ტერიტორიებზე, სადაც არსებობს განაშენიანების რეგულირების გეგმა, მშენებლობის ნებართვის გასაცემად ამ დადგენილებით განსაზღვრული პირველი სტადიის გავლა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) საჭირო არ არის და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოადგენს შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ამდენად შესაძლებელია საცხოვრებელი სახლების (ხუთი კომპლექსი - 21 ერთეული კოტეჯი) მშენებლობის არქიტექტურული პროექტი განხილული იქნას ერთიანობაში.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „ჯი ეს პი გრუპ“-ის მინდობილი პირის მოთხოვნა და შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლების (ხუთი კომპლექსი - 21 ერთეული კოტეჯი) მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი: 23.14.36.455; 23.14.36.244; 23.14.36.245; 23.14.36.246; 23.14.36.302) არქიტექტურული პროექტი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-X-ე თავის, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანზორ ცეცხლაძის 2018 წლის 10 ივლისის №1579-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს შპს „ჯი ეს პი გრუპ“-ის მოთხოვნა და შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლების (ხუთი კომპლექსი - 21 ერთეული კოტეჯი) მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი: 23.14.36.455; 23.14.36.244; 23.14.36.245; 23.14.36.246; 23.14.36.302) არქიტექტურული პროექტი;
- 2) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ჩაბარება;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა